შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

IV ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. *გაასწორეთ* მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

სამშვილდე ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ქალაქია საქართველოში. იგი მდებარეობდა ისტორიულ ქვემო ქართლში ახლანდელი სამშვილდის მახლობლად. მისი თავდაპირველი სახელწოდებაა „ციხე ორბისა“, თუმცა ის, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, ზოგჯერ აგრეთვე „დედაციხედაც“ მოიხსენიებდნენ.

სამშვილდე ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში უკვე სასახელო ქალაქი იყო. იგი რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში ისტორიულ ქვემო ქართლის საიმედო სიმაგრეს წარმოადგენდა. ჩვენს წინაპრებს სამშვილდე ორ მდინარეს შორის მოქცეულ კონცხზე გაუშენებია. ეს ადგილი სამი მხრიდან ძნელად მისადგომი იყო მეოთხიდან კი გამაგრება სჭირდებოდა. ამ მიზნით იგი ხუთმეტრიანი კედელით ჩაუკეტიათ. ქალაქის ბედი ხშირად ამ კედელთან წყდებოდა ხოლმე იმისათვის რომ მტრების პირველი დარტყმა სწორედ მასზე მოდიოდა. მართალია, ქალაქი მომხდურთა ხელშიც აღმოჩენილა, მაგრამ კედელს ამის კვალიც არ დატყობია. როგორც ჩანს სამშვილდეში შეღწევა სხვა გზით ხერხდებოდა. მტრის შემოსევების გამო ქალაქი თან და თან სუსტდებოდა თუმცა ქართლის მნიშვნელოვან სიმაგრეთ მაინც რჩებოდა. დღეისათვის სამშვილდე მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.

II. არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

ტერორიზმი არის რთული სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის უკიდურესი საშუალება.

გაიაზრეთ ამ ტერმინის არსი და ისე შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება:

როდესაც ადამიანები ცდილობენ გაამართლონ ძალადობრივი ქმედებები, უნებურად ხელს უწყობენ ტერორიზმის გაძლიერებას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ: თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

1.

ყურადღებით წაიკითხეთ ტიციან ტაბიძის ლექსი „მეარღნეები და პოეტები“:

...და ალიონზე თეთრ დუქანთან
სტირის არღანი.
მტკვარი ახლოა, უნდა მტკვარში
თავი დავიხრჩო.
სიყვარულისგან მეტ მოთმენის
არა მაქვს ღონე,
მინდა ამ დილას ამ ცივ მტკვარში
თავი დავიხრჩო.
მეტი მოზიდეთ კალმახები
მაშ არაგვიდან,
რაც იყოს იყოს, ამ ქეიფსაც
ერთხელ ავიტან.
ერთ ლამაზ ქალზე მარტო ერთი
ლექსი დარჩება,
განა გავხდებით პოეტები
ლექსის ჩარჩებად?..

„ნინა, ნინა, ჩემო ნინა
გათხოვება, ხომ არ გინდა?
- გათხოვება რომ მინდოდეს,
შენი კითხვა მე რად მინდა?“
ასე მეარღნე, დაამტვრიე,
დასცხე, გეთაყვა,
აბა რად გიღირს ერთი ძველი
შენ მუხამბაზი!
რამდენი ძველი სიყვარული
ამ მტკვარს თან გაჰყვა,
ზაჰესის სინას ხომ გაჰყვება
ახლაც ჯამბაზი.
„შაბათი რომ დაღამდება,
კვირა გათენდება.
თამრიკო მოწამლულა,
რაღა მეშველება?“

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ტყვილი იქნება, ჩემო ძმაო,
თავს ვინ იწამლავს?
ალბათ იმ ქალსაც სულ ტყუილად
ჰქვიოდა თამრო!
ის სხვა სიყვარულს უეჭველად
გულში იმალავს,
რამდენიც გინდა, თვითონ ვიცი,
იმას ჰყავს საქმრო...
ჩემო მეარღნევ, გენაცვალე,
წაიღე სული,
საქართველოში ნეტა ასე
ვინმეს ვუყვარდე!
რა ვუყოთ მერე, პოეტი ვარ
ხელით წასული, -
საქართველოში ხომ ფეტვივით
სთესავენ ვარდებს!
ვიცი გიყვარვარ, ასე მწარედ
მიტირებ არღანს,
ვიცი გიყვარვარ, რომ არ გინდა
მოკვდეს თამარი.

შენ, ჩემო ძმაო, თუ მოკვდები
არვინ დაგმარხავს,
თავის სამარხი ზედ გარტყია
ვერცხლის ქამარი.
ცდები, მეარღნევ, გათხოვდება
ეგ შენი ნინა!
არ დაიჯერო, ის თამრიკოც
რომ მოიწამლოს.
ქალი ქალია, დიდხანს უქმროდ
რამ არონია,
ქალი ქალია და იშოვის
თავის მალამოს.
უბრალოდ ვკვდებით მეარღნეები
და პოეტები,
მაგრამ ჩვენ ალბათ თავის მოკვლაც
გვეპატიება...

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

3. რომელ მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი პირველსა და მეორე სტრიქონებში?

ა) ალიტერაციას.

ბ) გაპიროვნებას.

გ) ირონიას.

დ) შედარებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

4. რა არის პირველი და მეორე სტრიქონების დანიშნულება?

ა) შექმნას ფონი ლირიკული გმირის თვითმკვლელობის საჩვენებლად.

ბ) შექმნას ფონი ნაწარმოების სიუჟეტის კვანძის გასახსნელად.

გ) შექმნას წინაპირობა თანამედროვე ქალაქის პეიზაჟის დასახატავად.

დ) შექმნას წინაპირობა ლირიკული გმირის განწყობილების გადმოსაცემად.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

5. ლირიკული გმირის როგორი სულიერი მდგომარეობა არის გამოხატული მესამე-მეოთხე სტრიქონებით?

ა) დაბნეულობა.

ბ) გულგრილობა.

გ) მორჩილება.

დ) სასოწარკვეთა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

6. ტექსტის მიხედვით, რა არის ლირიკული გმირის წინასწარ გაცხადებული თვითმკვლელობის მოტივი?

ა) ბოლშევიკური რეპრესიები.

ბ) მეგობრის ღალატი.

გ) საბედისწერო სიყვარული.

დ) სამშობლოს მდგომარეობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

7. ამ ტექსტში აღწერილია:

ა) ბოლშევიკური საქართველოს დამთრგუნველი ვითარება.

ბ) სასოწარკვეთილი ლირიკული გმირის ქეიფი.

გ) მტკვრის ნაპირზე გამართული ქორწილი.

დ) უცნობი ქალის თვითმკვლელობის ამბავი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

8. რა აზრის გამოხატვა სურს ავტორს სიტყვებით: „განა გავხდებით პოეტები ლექსის ჩარჩებად“?

ა) ჭეშმარიტი ხელოვანი თავის შემოქმედებით პრინციპებს არ უღალატებს.

ბ) ჭეშმარიტი ხელოვანი მხოლოდ და მხოლოდ ერთ ქალს უერთგულებს.

გ) ჭეშმარიტი ხელოვანი ყველაგან და ყოველთვის მარტოსული იქნება.

დ) ჭეშმარიტი ხელოვანი თავისი შემოქმედების პოპულარობაზე იზრუნებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

9. რა ფუნქცია აკისრია ლექსში მეარღნის სიტყვებს?

ა) იქმნება კონტრასტი მეარღნის პრიმიტიულ ფრაზებსა და ლირიკული გმირის ტრაგიკული განწყობილების გამომხატველ სტრიქონებს შორის.

ბ) იქმნება კონტრასტი მეარღნის ტრაგიკულ განწყობილებასა და ლირიკული გმირის ოპტიმისტურ განცდას შორის.

გ) მეარღნის სიმღერის საშუალებით ავტორი წარმატებით ახერხებს მუხამბაზის სალექსო ფორმის შეფარულ პაროდირებას.

დ) მეარღნის სიმღერის პირველი ორი სტრიქონი კრავს სიუჟეტურ კვანძს, მომდევნო ორი კი ლექსის მთავარ სათქმელს გამოხატავს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

10. რა შეიძლება ამოვიკითხოთ ავტორის სიტყვებში:

„საქართველოში ნეტა ასე
ვინმეს ვუყვარდე!“

ა) მწერლები საქართველოში არასდროს ყოფილან დაფასებულნი.

ბ) პოეტი თანამედროვეთა მხარდაჭერასა და აღიარებას ვერ გრძნობს.

გ) საბჭოთა ხელისუფლებას არაფრად მიაჩნდა პოეტის შემოქმედება.

დ) ხელოვანის არავის ესმის, რადგან იგი თავის ეპოქას უსწრებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

11. რას უნდა გულისხმობდეს ავტორი სიტყვებში: „რა ვუყოთ მერე, პოეტი ვარ ხელით წასული“?

ა) ბოლშევიზმი შემოქმედის სულიერ კრიზისს განაპირობებდა.

ბ) რეპრესიულმა რეჟიმმა შემოქმედებითი თავისუფლება შეზღუდა.

გ) ქართველ სიმბოლისტებს ბოჰემური ცხოვრება იზიდავდა.

დ) ქართველ სიმბოლისტებს ხელისუფლება უსამართლოდ დევნიდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

12. რომელ სტრიქონში იყენებს ავტორი შედარებას?

ა) „საქართველოში ნეტა ასე ვინმეს ვუყვარდე!“

ბ) „საქართველოში ხომ ფეტვივით სთესავენ ვარდებს!“

გ) „ვიცი გიყვარვარ, რომ არ გინდა მოკვდეს თამარი“.

დ) „ვიცი გიყვარვარ, ასე მწარედ მიტირებ არღანს“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

13. რას გულისხმობს ლექსის ლირიკული გმირი სიტყვებში: „შენ, ჩემო ძმაო, თუ მოკვდები, არვინ დაგმარხავს“?

ა) დიდ ხელოვანებს სიკვდილის შემდეგაც ღირსეულად არ აფასებენ.

ბ) გულცივი საზოგადოება მარტოხელა ადამიანის დაკრძალვაზე არ ზრუნავს.

გ) ღარიბი და უცნობი მეარღნე საზოგადოებისაგან გარიყული ადამიანია.

დ) მეარღნეს თავისი დასამარხი ძვირფასი ქამარი წელზე არტყია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

14. ქალების მიმართ ლირიკული გმირის როგორი დამოკიდებულება გამოიხატა ამ ლექსში?

ა) აღფრთოვანება.

ბ) გულგრილობა.

გ) პატივისცემა.

დ) უნდობლობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

15. რას უნდა გულისხმობდეს ავტორი სიტყვებში: „უბრალოდ ვკვდებით მეარღნეები და პოეტები“?

ა) ბოლშევიკური ხელისუფლება უმოწყალოდ უსწორდება პოეტებს.

ბ) დიდი ხელოვანი სამშობლოსათვის წირავს თავს.

გ) შემოქმედთა სიცოცხლეს ფასი აქვს დაკარგული.

დ) ხელოვანებს სიყვარულში არასდროს უმართლებთ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

16. რაზე უნდა მიგვანიშნებდეს ავტორის სიტყვები: „ჩვენ ალბათ თავის მოკვლაც გვეპატიება“?

ა) ქართველი პოეტები პესიმისტები იყვნენ.

ბ) ავტორი თავდაუზოგავად ებრძოდა ბოლშევიზმს.

გ) პოეტმა უარი თქვა ამქვეყნიურ სიამოვნებებზე.

დ) ავტორს განწირულების შეგრძნება ტანჯავდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

17. რის შესახებ <u>არ არის</u> საუბარი ამ ლექსში?

ა) დაკარგული სიყვარულის.

ბ) თვითმკვლელობის.

გ) სამშობლოსათვის თავგანწირვის.

დ) ქეიფის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ არის გამოხატული ლექსში ლირიკული გმირის განცდებისა და ყოფითი გარემოს ურთიერთმიმართება;
- იმსჯელეთ, რატომ უნდა იყოს მნიშვნელოვანი ავტორისათვის თვითმკვლელობის თემა;
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

2.

ილია ჭავჭავაძის თხზულებაში „კაცია-ადამიანი?!“ მოთხრობილია ლუარსაბისა და დარეჯანის დაქორწინების ამბავი:

ქორწილის ღამეს დიდი ამბები მოხდა. მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით, ძმაც თანა ჰყვანდა, სწორედ სამშაბათს დღეს. იმ დღეს საცოლო არ აჩვენეს, რასაკვირველია. მოსესაც შეეყარა დიდი ხალხი. უგანზრახვოდ არ იყო ეს ხალხის შეყრა მოსეს მხრით... როცა ყველაფერი მოამზადეს, მერე მიიპატიჟეს საქმროცა. როცა შევიდა ლუარსაბი საყდარში და თვალი მოჰკრა თავის საცოლოსა, ელდა ეცა. მოუბრუნდა თავის ძმას დავითს, თავაზასაც და ზრდილობასაც თავი დაანება და უთხრა: - დავით, აკი მზეთუნახავიაო?

ხალხს სიცილი წასკდა, საწყალი პატარძალი სირცხვილით აინთო და ტირილი დაიწყო. დავითი წინ წადგა; რომ დაინახა ერთი უმსგავსო პატარძალი, მღვდელს მიუბრუნდა: - მამაო! ჯერ სხვა იწერს ჯვარს, თუ ეს რა ამბავია?

- კნიაზი ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან მოსე გძელაძის ასული იწერს ჯვარს, - მიუგო მღვდელმა.

- პატარძალი სად არის?

- აი, ესა ბძანდება.

- ლუარსაბ! - დაუძახა ძმას დავითმა, - მოგვატყუეს, ეგ ის არ არის, ჯვარი არ დაიწეროო.

მთელი ხალხი გაოცდა. ლუარსაბი დაღონებული და უფრო გაფითრებული გამოვიდა საყდრიდან, მთელი მაყრიონი გამოჰყვა. ცხენები მოიკითხეს, უნდა წამოსულიყვნენ. ცხენები დაემალათ. შეატყობინეს მოსეს, რომ საქმრო ჯვარს არ იწერსო. მოვიდა მოსე და თან მოიყვანა მრავალი ხალხი.

- კნიაზო დავით! ეს რა ამბავია? - უთხრა გაჯავრებულსავით მოსემ, - ქალი საყდარშია და საქმრო ეხლა დადგა უარზედ? აქამდინ სად იყავით, თუ არ გინდოდათ ჩემი ქალი? ვინ გეხვეწებოდათ? თქვენისთანა ოჯახისშვილები მეხვეწებოდნენ, რომ არ მივეცი!

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

- აი, ბატონო, ქალი მანდ არის და, ვისაც გნებავდეთ, იმას მიეცით. ჩემი ძმა კი მაგის შემრთველი არ არის, - მიუგო თავგამოდებით დავითმა.

- ეხლა განა? როცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ ჩემს ქალს ირთავს შენი ძმა, როცა შენმა ძმამ საყდარშიაც შეიყვანა ჩემი ქალი? არა, თავზედ ლაფს არავის არ დავასხმევინებ! ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არა და აქედამ ცოცხლები ვეღარ წახვალთ! გაგონილა? სიძე სახლში ჩამიდგეს, ქალი საყდარში შეიყვანოს და ჯვარი აღარ დაიწეროს!..

- ის კი გაგონილა, რომ პატარძალი შეცვალონ! ეს შენი ქალი არ არის.

- ხალხო და ჯამაათო! დახე, რომ ვეღარა მოუგონიათ რა, იმას ამბობენ, შენი ქალი არ არისო, - დაუძახა ხალხს მოსემ.

- მაშ ვისია, თუ მაგისი არ არის! - გაიხმაურა მოსეს ხალხმა, - ჩვენ ფიცს მოგცემთ.

- არა, ბატონებო, ჩემი ძმა ჯვარს არ იწერს. თუ ძალაზედ დადგებით, არც ჩვენ ვართ ლაჩრები, - წარმოსთქვა დავითმა და ხანჯალი მოიმართა. ქალები, ვინც კი იყვნენ საყდარში, სულ აქეთ-იქით მიიფანტნენ... პატარძალი კი და ორი ვიღაც ბებერი მოსემ საყდრიდამ არ გამოაყვანინა, იმედი ჰქონდა, რომ როგორმე მოახდენდა ჯვარისწერას.

- მაშ მოსე თავადიშვილი აღარ ყოფილა, - წამოიძახა მოსემ, - თუ თქვენ ჩემი ოჯახი შეგარცხვენინოთ; ჩემის ცოცხალის თავით არ ვაკადრებ ჩემს გვარს, რომ თათქარიძეებმა საყდარში ქალი გამიუპატიურონ, ჯვარი უნდა დაიწეროს.

- არ დაიწერს.

- უკანასკნელი სიტყვაა?

- უკანასკნელია.

- დავით! - უეცრად გადაასხვაფერა სიტყვა მოსემ და ხმაც მოურბილა, - აქეთ მობძანდი.

დავითი გაჰყვა. იქით ორნივ გაშორებით გადგნენ. მოსემ ამოიღო ხუთი თუმანი და უთხრა ხმადაბლა დავითს:

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

- ეს ხუთი თუმანი, დაჩუმდი, შენ რა გინდა? შენ ხომ არ ირთავ?

დავითი დარბილდა.

- ხუთ თუმანზე ძმა როგორ გავყიდო? - უპასუხა.

- შვიდი იყოს.

- ან შვიდად.

- რვა იყოს!

- ვერც რვა თუმნად.

- მაშ რამდენი გინდა?

- ათი მაინც იყოს.

- ცხრაზედ რას იტყვი?

- არა, ათი.

- ეჰ, ჯანი გავარდეს: ათი იყოს. - ამოიღო ათი თუმანი და მისცა. დავითმა ჯიბეში ჩაიდო.

- მე კი დავჩუმდები და ჩემი ძმისა შენ იცი, - უთხრა ღიმილით დავითმა.

- ოღონდ შენ დაჩუმდი და ერთი ორიოდე კაცი თქვენი მაყრიონიდამაც დაიყოლიე და ლუარსაბს მე მოვუხერხებ.

- ბატონი ხარ. მაგის პირობას გაძლევ.

- მაშ ხელი დაჰკარ.

დაჰკრეს ხელი ხელს და საწყალ ლუარსაბს ძალად გადასწერეს ჯვარი იმ ღამესა. მოსემ არც დაპირებული ორასი თუმანი მისცა... ლუარსაბს არ მიჰყვანდა ცოლი, მინამ არ გამისწორდებაო, ბოლოს ესეც რომ ვერა გახდა-რა - გარემოებას დაემორჩილა და წამოიყვანა შინ თავისი დარეჯანი.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

3. რატომ არ აჩვენეს ლუარსაბს საცოლე ჯვრისწერამდე?

ა) ჯვრისწერამდე სასიძოს პატარძლის ნახვას ადათი უკრძალავდა.

ბ) უნდოდათ, რომ მისთვის უშნო პატარძალი შეეტყუებინათ.

გ) ქორწილი ეჩქარებოდათ, პატარძლის ნახვა კი დროს წაიღებდა.

დ) ქორწილამდე პატარძლის ნახვა ცუდის მაუწყებლად ითვლებოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

4. რა განზრახვით ჰყავდა მიწვეული მოსეს მრავალი სტუმარი?

ა) სურდა, რომ მისი ქალიშვილის ბედნიერება ბევრ ადამიანს ენახა.

ბ) საშუალება მიეცა, რომ საკუთარი ხელგაშლილობით საზოგადოება გაეკვირვებინა.

გ) ბევრი ნათესავ-მეგობარი ჰყავდა და მათი განაწყენება არ უნდოდა.

დ) გასაჭირში ჩავარდნის შემთხვევაში სტუმრების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

5. რატომ ეცა ელდა საყდარში შესულ ლუარსაბს?

ა) მიხვდა, რომ დიდძალი ხალხის გამასპინძლებას ვერ შეძლებდა.

ბ) მაშინვე მიხვდა, რომ შეუხედავ ქალზე დაქორწინება მოუწევდა.

გ) საყდარში შესულმა სასიძომ ატირებული პატარძალი დაინახა.

დ) მოლოდინის საპირისპიროდ, საყდარში უშნო პატარძალი დახვდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

6. **რა განცდაა გამოხატული ლუარსაბის კითხვაში:** „დავით, აკი მზეთუნახავიაო“?

ა) გულგრილობა.

ბ) მრისხანება.

გ) იმედგაცრუება.

დ) სინანული.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

7. **რატომ წასკდა „ხალხს სიცილი“?**

ა) ხალხს ხალისიანი განწყობის შექმნით პატარძლის მდგომარეობის შემსუბუქება სურდა.

ბ) ხალხის თვალში შექმნილი ვითარება მეტისმეტად კომიკურად გამოიყურებოდა.

გ) ლუარსაბისა და დავითის გაწბილებამ ხალხის კმაყოფილება გამოიწვია.

დ) ხალხი ვითარებაში ვერ გაერკვა და უხერხულობის გაქარწყლება სიცილით სცადა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

8. რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს სიტყვას „გაჯავრებულსავით“?

ა) გაჯავრება მოსეს თვალთმაქცური ხერხია, რათა სასიძო ქორწინებაზე დაითანხმოს.

ბ) მოსესთვის ლუარსაბის უარი მოულოდნელია და ამიტომ მისი გაჯავრებაც გულწრფელია.

გ) გაჯავრება მოსეს ბუნებრივი რეაქციაა და ამიტომ მისი საქციელი არავის გაჰკვირვებია.

დ) გაჯავრებულ მოსეს სურს, რომ უსამართლოდ შეურაცხყოფილი ღირსება აღიდგინოს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

9. რომელი თვისება ჩანს მოსეს სიტყვებში: „თქვენისთანა ოჯახისშვილები მეხვეწებოდნენ, რომ არ მივეცი!“?

ა) მატყუარობა.

ბ) სიხარბე.

გ) გულწრფელობა.

დ) კაცთმოყვარეობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

10. რა მხატვრული საშუალებაა: „სირცხვილით აინთო“?

ა) ეპითეტი.

ბ) მეტაფორა.

გ) შედარება.

დ) გაპიროვნება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

11. რატომ „მიიფანტნენ“ საყდარში მყოფი ქალები „აქეთ-იქით“?

ა) დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება უნდოდათ.

ბ) პატარძლისათვის საშიშროების არიდება სურდათ.

გ) შეტაკების რეალური საფრთხე იგრძნობოდა.

დ) ეზოში მომხდარი ამბების გაგება სურდათ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

12. როგორ ახასიათებს მოსეს მისივე სიტყვები: „არ ვაკადრებ ჩემს გვარს, რომ თათქარიძეებმა საყდარში ქალი გამიუპატიურონ, ჯვარი უნდა დაიწეროს“?

ა) როგორც სტუმარმასპინძლობის ტრადიციების უარმყოფელ ადამიანს.

ბ) როგორც მიზნის მისაღწევად ყველაფრის მკადრებელ ადამიანს.

გ) როგორც ოჯახის ღირსების გულწრფელ დამცველს.

დ) როგორც წარჩინებული გვარის ღირსეულ წარმომადგენელს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

13. რატომ „მოურბილა“ ხმას მოსემ?

ა) დანაშაულის აღიარება დააპირა.

ბ) მდგომარეობის უიმედობა იგრძნო.

გ) საკუთარი ქალიშვილი შეებრალა.

დ) დავითის გადმობირება გადაწყვიტა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

14. მოსეს რა თვისება ჩანს მის სიტყვებში: „ეს ხუთი თუმანი, დაჩუმდი... შენ ხომ არ ირთავ“?

ა) ლაჩრობა.

ბ) სიმამაცე.

გ) მჭევრმეტყველება.

დ) ცბიერება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

15. პერსონაჟის მიმართ ავტორის როგორი დამოკიდებულება ჩანს ფრაზაში: „ხუთ თუმანზე ძმა როგორ გავყიდო“?

ა) ქედმაღლური.

ბ) გულგრილი.

გ) ირონიული.

დ) კეთილმოსურნე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

16. დავითის რა თვისება ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში: „ამოიღო ათი თუმანი და მისცა. დავითმა ჯიბეში ჩაიდო“?

ა) მომჭირნეობა.

ბ) სიმხდალე.

გ) პრინციპულობა.

დ) სიხარბე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

17. ლუარსაბის რა თვისებაზე მიუთითებს სიტყვები: „გარემოებას დაემორჩილა და წამოიყვანა შინ თავისი დარეჯანი“?

ა) შემწყნარებლობაზე.

ბ) კეთილშობილებაზე.

გ) უუნარობაზე.

დ) მომხვეჭელობაზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ მოსე გძელაძის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ (გაითვალისწინეთ დავითის ქცევის მოტივაცია);
- დაახასიათეთ ავტორის თხრობის მანერა და ტექსტის ენობრივი თავისებურებები.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე